

საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საკანონმდებლო მაცნე, №4 17.01.2005, მუხ. 14) მე-6 მუხლს „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ ქვეპუნქტი:

„ა) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკუთრებაში შექნილ მიწაზე საკუთრებისა და იპოთეკის რეგისტრაცია ან იპოთეკის ცვლილების ან გაუქმების რეგისტრაცია – 1-3 სამუშაო დღე – საფასურის გარეშე“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი